

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №  
2017 წლის --- თებერვალი  
ქ. ოზურგეთი

**„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“**

*„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**და ა დ გ ი ნ ა :**

**მუხლი 1.** დადგინდეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ნორმატიული ფასი (დანართი №1).

**მუხლი 2.** დამტკიცდეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირება (დანართი 2).

**მუხლი 3.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის N7 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 14/03/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.171.016112).

**მუხლი 4.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გელა კობალაძე

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

**მუხლი 1**

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დიფერენცირებულია ტერიტორიის ზონირების საფუძველზე (დანართი#2).
2. მიწის ნორმატიული ფასი 1კვ.მ მიწის ფართობისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CN=IMG \times ITL \times C \times K \text{ სადაც:}$$

- ა) CN – არის I მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი
- ბ) IMG - არის ოზურგეთის მაკრომდებარეობის ინდექსი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.52 ლარს.
- გ) ITL - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი;
- გ.ა) ქალაქის ცენტრალურ ზონაში-1.2;
- გ.ბ) ქალაქი შუალედურ ზონაში-1.0;
- გ.გ) ქალაქის პერიფერიულ ზონაში-0.7;
- დ) C- არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1მ<sup>2</sup>-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;
- ე) K- არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის;
- ე.ა) ქალაქის ცენტრალურ ზონაში 50-ს.
- ე.ბ) ქალაქის შუალედური ზონისათვის 30-ს.
- ე.გ) ქალაქის პერიფერიული ზონისთვის 25-ს.

**მუხლი 2**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს შემდეგი სახით:

#	ზონა	IMG	ITL	C	K	CN (ლარი)
1	ქალაქის ცენტრალური	0.52	1.2	0.24	50	7.4880
2	ქალაქის შუალედური	0.52	1.0	0.24	30	3.744
3	ქალაქის პერიფერიული	0.52	0.7	0.24	25	2.1840

**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირება**

<p><b>I (ცენტრალური) ზონა</b> <b>ქუჩების მიხედვით</b></p>	<p><b>ლოკალური</b> <b>ტერიტორიულ</b> <b>ინდექსი ITL</b></p>
<p>გურამიშვილის ქუჩის ორთავემ მხარე რკინიგზის ხაზამდე. რკინიგზის ხაზის მარცხენა მხარე ლალიონის ქუჩამდე. ლალიონის ქუჩა კოსტავას ქუჩის გადაკვეთამდე. კოსტავას ქუჩა (12 სართულიანი სახლის ჩათვლით) აკაკის ქუჩის დასაწყისამდე. აკაკის ქუჩა თ. სახოკიას ქუჩის გადაკვეთამდე.</p> <p>თ. სახოკიას ქუჩა გურიის ქუჩამდე. გურიის ქუჩა გრიბოედოვის ქუჩის გადაკვეთამდე. გრიბოედოვის ქუჩა სანაპიროს ქუჩამდე. სანაპიროს ქუჩა მდ. ბჟუჟამდე ს. მაკვანეთისკენ მიმავალ ხიდამდე. ს. ქობულაძის ქუჩა თაყაიშვილის ქუჩამდე. თაყაიშვილის ქუჩის მონაკვეთი მდ. ბჟუჟის ხიდიდან ნ. ნაკაშიძის ქუჩამდე. ნ. ნაკაშიძის ქუჩა. ნინოშვილის ქუჩა (შედის #1 საჯარო სკოლა, II საავშვო ბაღი, საავადმყოფო „ავერსი“, ყოფილი ინტერნატის ეზოს ჩათვლით) გმირთა მოედანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა გურამიშვილის ქუჩის გადაკვეთამდე.</p> <p>-ცენტრალურ ზონას განეკუთვნება შესაბამისი კონტურის ფარგლებში მოქცეული ტერიტორია.</p>	<p>1,2</p>
<p><b>II (შუალედური) ზონა</b> <b>ქუჩების მიხედვით</b></p>	<p><b>ლოკალური</b> <b>ტერიტორიულ</b> <b>ინდექსი ITL</b></p>
<p>მდ. ბჟუჟის ხიდიდან ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა უნივერსიტეტის ქუჩის დასაწყისამდე, შ.პ.ს გზამშენი-18-ის, მანქანათმშენებელი და ყოფილი პურის ქარხნების მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით. ს. ჟორჟოლიანის ქუჩიდან ესაძის ქუჩის გადაკვეთამდე. ესაძის ქუჩა მაღაზონიის ქუჩამდე. მაღაზონიას ქუჩა დ. ბაქრაძის ქუჩამდე. დ. ბაქრაძის ქუჩა თავისულფების ქუჩამდე. თავისულფების ქუჩა დავით აღმაშენებლის ქუჩამდე. დავით აღმაშენებლის ქუჩიდან ა. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქუჩამდე. ა. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქუჩა რკინიგზის ხაზის გადაკვეთამდე. რკინიგზის ხაზის გასწვრივ ჯავახიშვილის ქუჩის კვეთამდე. ჯავახიშვილის ქუჩიდან კ. ლესელიძის ქუჩის დასაწყისამდე კ. ლესელიძის ქუჩა ნ. დუმბაძის ქუჩის კვეთამდე. ნ. დუმბაძის ქუჩა მ. კოსტავას, ზ. დამენიას ქუჩების კვეთამდე. ზ. დამენიას ქუჩა ნ. ბარათაშვილის ქუჩამდე. ნ. ბარათაშვილის ქუჩა ა. ჯორჯიაშვილის ქუჩის კვეთამდე. ა. ჯორჯიაშვილის ქუჩა ა. ჯორჯიაშვილის ქუჩის I შესახვევამდე. ა. ჯორჯიაშვილის ქუჩის I შესახვევიდან მეუნარგიას ქუჩის ჩათვლით. სანაპიროს ქუჩამდე. სანაპიროს ქუჩა ა. გრიბოედოვის ქუჩის კვეთამდე.</p> <p>-შუალედურ ზონას განეკუთვნება ცენტრალური ზონის კონტურს გარედ და შუალედური ზონის კონტურს შორის მიმდებარე ტერიტორია</p>	<p>1,0</p>

III (პერიფერიული) ზონა ქუჩების მიხედვით	ლოკალური ტერიტორიულ ინდექსი ITL
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შუალედური ზონის კონტურის ფარგლებს გარეთა ტერიტორია	0,7